განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

პაატა ცაგარეიშვილი - ჯგუფის თავმჯდომარე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

ინგა ბოჭორიძე - ჯგუფის წევრი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო–ტექნოლოგიური ინსტიტუტი)**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **211349192**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N645 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - პაატა ცაგარეიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი), ინგა ბოჭოიძე (ჯგუფის წევრი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი), 2019 წლის 1 და 2 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო–ტექნოლოგიური ინსტიტუტი). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების - **„მეგბათქაშე“** და **„მღებავი“** ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სტუ-ს მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 1-2 აგვისტოს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მისამართზე: ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4.

ვიზიტის პირველ დღეს შედგა შეხვედრა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო–ტექნოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან (ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და ინსტიტუტის დირექტორთან). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დასამატებელი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან აფილირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადაამოწმა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტის შემოწმების მიზნით დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსი (მათ შორის ვებ-გვერდი). დღის დასასრულს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული ერთი დღის მუშაობის შედეგების შეჯამება/შეჯერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

ვიზიტის მეორე დღეს შესწავლილ იქნა ბიბლიოთეკის ფონდი და სასწავლო რესურსი, შედგა გასაუბრება ბიბლიოთეკართან. დღის დასასრულს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული ორი დღის მუშაობის შედეგების შეჯამება/შეჯერება და ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენელთათვის.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო–ტექნოლოგიური ინსტიტუტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ ანალოგიური პროფილის უმაღლესი აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2019 წლის 2 აგვისტოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „მღებავი“ და „მებათქაშე“.

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	✓	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	✓	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	✓	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	✓	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 6 / პუნქტი ე)	✓	
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	✓	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	✓	
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	✓	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	✓	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	✓	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	✓	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)	✓	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	✓	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	✓	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	✓	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	✓	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	✓	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	✓	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის,	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	✓	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი,	მუხლი 7 / პუნქტი თ)	✓	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	✓	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	✓	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	✓	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი გ)	✓	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	✓	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირდა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირდა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.2:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

სასურველია დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგებში მიუთითოს, თუ რომელი წლის კატალოგია.

ქვესტანდარტი 2.2:

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში არ ჩანს, რომ სტუ-ის პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ფონდით სარგებლობა. სარგებლობის წესში უნდა მიეთითოს, რომ პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ბიბლიოთეკით სარგებლობა (ისევე, როგორც სტუ-ის ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს, მასწავლებლებს, პროფესორებს, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორებსა და ტექნიკურ პერსონალს).

ქვესტანდარტი 3.1:

სასურველია ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლების თანამდებობრივ ინსტრუქციებში (დამტკიცებული სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი №14 28.12.2017 წ., კორექტირებულია ოქმი №3, 30.03.2018), მოვალეობებთან ერთად აისახოს ასევე სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამსახურში მიღების წესი.

ქვესტანდარტი 3.2:

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს იმ პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება - სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით, რომლებსაც არ აქვთ მოდულურ პროფესიულ პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

VII. დაწესებულების მისია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვა-ლიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრა-ტიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. უნივერსიტეტი ამ მისიის შესაბამისად მიზნად ისახავს უზრუნველყოს:

- აკადემიური უმაღლესი განათლების, ინოვაციური მეცნიერული კვლევების მაღალი ხარისხი ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო, სამართლის, აგრარული, ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებების, ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნებისა და მიმართულებათშორისი დარგებისა და სპეციალობების (განსაკუთრებული აქცენტით ევროპის-მცო-დნეობის, არქეოლოგიის, არქიტექტურის, საჯარო მმართველობის, სამხედრო) მიმართულებით;
- პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს მაღალკვალიფიციური საზოგადოების საჭიროებაზე ორიენტირებული კადრები;
- პროფესიული და აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება;
- უნივერსიტეტის პერსონალის აკადემიური თავისუფლება (რაც მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტის სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, მობილობის შეუზღუდავ შესაძლებლობებს);
- განათლებისა და მეცნიერების საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება, კვლევისა და სწავლების რეგიონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, კოლაბორაციის განვითარება უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- უნივერსიტეტის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების და კოლეგიური მართვის სისტემის ოპტიმიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ს/კ 211349192 (შემდგომში დაწესებულება) წარმოადგენს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის N77 გადაწყვეტილება).

დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-04/139 დადგენილებით დამტკიცებული, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ორი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით:

1. **„მღებავი"** (პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 10 ადგილი). პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობაა:

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კრედიტი
- პროგრამის ხანგძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 39 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 73 კრედიტი
- პროგრამის ხანგძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 50 კვირა

„მღებავის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის სტუ-ს აკადემიური საბჭო, რაც განსაზღვრულია სტუ-ს წესდების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

„მღებავის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთების მიზნით წარმოდგენილია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 2 თებერვლის წერილი, რომლის მიხედვითაც ტყიბულის მუნიციპალიტეტი უახლოესი ორი წლის განმავლობაში გეგმავს რამოდენიმე მასშტაბური პროექტის განხორციელებას, სადაც დასაქმდებიან ამ პროგრამების მიხედვით მომზადებული პროფესიული სტუდენტები. დაწესებულება საკუთარი რესურსის შეფასებით (სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N6 ოქმით დამტკიცებული - „მღებავის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის“ დოკუმენტით) ასაბუთებს **„მღებავის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

„მღებავის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. მოდულების შესწავლისას დადგინდა, რომ მათი თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმაში. სასწავლო გეგმაში დაცულია ასევე თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობები და სწავლება ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია წინაპირობები. პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით - „თუკი მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია ამ მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“, რაც დაცულია **„მღებავის“** პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში.

„მღებავის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება მისამართზე: ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4. ამავე მისამართზე განხორციელდება ასევე მთლიანი პრაქტიკული სწავლება. კერძოდ, პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულება არ საჭიროებს ცალკე მემორანდუმის გაფორმებას სხვა პრაქტიკის ობიექტებთან (არც არავისთან არ აქვს გაფორმებული მსგავსი მემორანდუმი). დაწესებულების შიგნით უზრუნველყოფილია ყველა შესაბამისი გარემო და პირობები პროგრამის პრაქტიკული ნაწილის ასათვისებლად. C გარემოს გარდა, მესამე სართულზე არსებული აუდიტორიებიც წარმოადგენს იდეალურ რეალურ სამუშაო სივრცეს მომავალი მღებავებისთვის.

დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

2. „მებათქაშე“ (პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 10 ადგილი). პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობაა:

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კრედიტი
- პროგრამის ხანგძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 38 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 73 კრედიტი
- პროგრამის ხანგძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 49 კვირა

„მებათქაშის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის სტუ-ს აკადემიური საბჭო, რაც განსაზღვრულია სტუ-ს წესდების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით („მღებავის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მსგავსად).

„მებათქაშის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთების მიზნით წარმოდგენილია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 2 თებერვლის წერილი, რომლის მიხედვითაც ტყიბულის მუნიციპალიტეტი უახლოესი ორი წლის განმავლობაში გეგმავს რამოდენიმე მასშტაბური პროექტის განხორციელებას, სადაც დასაქმდებიან ამ პროგრამების მიხედვით მომზადებული პროფესიული სტუდენტები. დაწესებულება საკუთარი რესურსის შეფასებით (სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N6 ოქმით დამტკიცებული - „მებათქაშის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის“ დოკუმენტით) ასაბუთებს **„მებათქაშის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

„მებათქაშის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. მოდულების შესწავლისას დადგინდა, რომ მათი თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმაში. სასწავლო გეგმაში დაცულია ასევე თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობები და სწავლება ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია წინაპირობები. პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით - „თუკი მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია ამ მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა", რაც დაცულია **„მეგბათქაშის"** პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში.

„მეგბათქაშის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება მისამართზე: ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4. ამავე მისამართზე განხორციელდება ასევე მთლიანი პრაქტიკული სწავლება. კერძოდ, პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულება არ საჭიროებს ცალკე მემორანდუმის გაფორმებას სხვა პრაქტიკის ობიექტებთან (არც არავისთან არ აქვს გაფორმებული მსგავსი მემორანდუმი). დაწესებულების შიგნით უზრუნველყოფილია ყველა შესაბამისი გარემო და პირობები პროგრამის პრაქტიკული ნაწილის ასათვისებლად. C გარემოს გარდა, მესამე სართულზე არსებული აუდიტორიებიც წარმოადგენს იდეალურ რეალურ სამუშაო სივრცეს მომავალი მეგბათქაშეებისთვის.

დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის №152-ე ბრძანების (ასევე ამ ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ 2019 წლის 1 მარტის №162 ბრძანების) საფუძველზე შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის, 2019 ლის 13-14 მარტს განხორციელებული ვიზიტის დასკვნაში (შემდგომში 13-14 მარტის ვიზიტის დასკვნა) ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში არსად არ არის გამიჯნული პროფესიული და აკადემიური პროგრამების განხორციელების რეგულაციები და მათი აღსრულების პროცედურები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული რეკომანდაცია მათ შესასრულებლად მოცემული აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე და მათ შეიმუშავეს მოცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რის მიხედვითაც აღნიშნული რეკომენდაცია უნდა შესრულდეს 2019 წლის 3 ივნისამდე". ვიზიტისას გაირკვა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა და პროფესიული განათლებისთვის შემუშავდა ცალკე რეგულაციები. კერძოდ:

- ✓ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის" დამტკიცების შესახებ სსიპ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის N01-05-04/176 დადგენილება;
- ✓ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ სსიპ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/29 დადგენილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ სსიპ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის N01-05-04/176 დადგენილება;
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-04/139 დადგენილებით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების („მღებავი" და „შებამთქაშე") დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვალს, №01-05-04/29 დადგენილებით;

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია სტუ-ს ვებგვერდზე http://gtu.ge/pdf/profesiulis katalogi 2.pdf. მასში შეტანილია პროფესიული პროგრამები, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, პროგრამების ჩამონათვალი, პროგრამის ხანგრძლივობა, თითოეული პროგრამისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამაზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, შეფასების წესი, პროგრამის ხანგრძლივობა, პროგრამის განხორციელების ადგილი და პრაქტიკის ობიექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

ტყიბულის სამთო–ტექნოლოგიური ინსტიტუტის ლინკზე ცალკეა განთავსებული ასევე, ამ ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროგრამების კატალოგი (http://gtu.ge/tsti/, მთავარი მენიუ/სასწავლო პროცესი/კატალოგი მოდულური). ახალი პროგრამების ანონსი განთავსებულია კატალოგზე გადასასვლელი ლინკის ქვემოთ, ცალკე PDF ფაილით - იხ. ლინკი: http://gtu.ge/tsti/pdf/anonsi_tkibuli.pdf

კატალოგებში არ არის მითითებული თუ რომელი წლის კატალოგებია ისინი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: სასურველია დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგებში მიუთითოს, თუ რომელი წლის კატალოგია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი - ლინკი: http://gtu.ge/pdf/profesiulis_katalogi_2.pdf
- ტყიბულის სამთო–ტექნოლოგიური ინსტიტუტის კატალოგი - ლინკი: http://gtu.ge/tsti/pdf/axali_katalogi_tkibuli.pdf
- კატალოგი ანონსის სახით: http://gtu.ge/tsti/pdf/anonsi_tkibuli.pdf

შეფასება:

- ✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-04/139 დადგენილებით დამტკიცებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მღებავი"** სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2018 წლის 05 ივნისის №459, 2018 წლის 22 აგვისტოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

№763/ი და 2019 წლის 31 იანვრის №85/ი ბრძანებებით) დამტკიცებულ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-04/139 დადგენილებით დამტკიცებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მეზათქაშე"** სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2018 წლის 05 ივნისის №459, 2018 წლის 22 აგვისტოს №763/ი და 2019 წლის 31 იანვრის №85/ი ბრძანებებით) დამტკიცებულ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

- დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
  - **მღებავის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
  - **მეზათქაშის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
  - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2018 წლის 05 ივნისის №459, 2018 წლის 22 აგვისტოს №763/ი და 2019 წლის 31 იანვრის №85/ი ბრძანებებით) დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით).

- შეფასება:

  - ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
  - ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, ყოველივე აღნიშნული გაწერილია სტუ-ს წესდებასა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/29 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/29 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით".

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დაროვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/29 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-10 მუხლის მე-9 - მე-11 პუნქტებით. კერძოდ:

„9. სტუ უფლებამოსილია შესთავაზოს სტუდენტს მობილობა შემდეგი გარემოებების წარმოშობისას: ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და სტუ-ს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი; ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული გარემოების დადგომისას, სტუ უფლებამოსილია შესთავაზოს სტუდენტს შიდა მობილობა უნივერსიტეტში არსებულ სხვა, მონათესავე პროფესიულ პროგრამაზე.

11. იმ შემთხვევაში თუ სტუ-ს არ გააჩნია ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროგრამა, სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას, რათა მან დაასრულოს სწავლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

რომელიც ახორციელებს მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ამ დაწესებულებასა და სტუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის/ ხელშეკრულების საფუძველზე."

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრთან", სადაც მხარეები იღებენ ვალდებულებას ითანამშრომლონ პროფესიული სტუდენტების მობილობის შეუფერხებლად განხორციელებაში კანონმდებლობის შესაბამისად.

მობილობის მსგავს შემთხვევას აქამდე არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/29 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით"
- 2019 წლის 12 ივნისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრთან".

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, შესაბამის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების პროცესების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება - PDCA (Plan, Do, Check and Act).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის ოქმით დამტკიცებული „ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები".

ვიზიტის დრო წარმოდგენილ იქნა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება N01-09-10/141 - მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ სხვა (უკვე არსებულ) პროგრამებზე - „სამთო-ტექნიკოსი" და „სამთო-ელექტრომენქანიკოსი". წარმოდგენილ იქნა ასევე ამ ბრძანების საფუძველზე შექმნილი შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი (12.05.2019) სადაც ჩანს, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფი დაესწრო „სამთო ტექნიკოსის" ერთ-ერთ ლექციას, რომელსაც ესწრებოდა რვა სტუდენტი და თემა შეესაბამებოდა კალენდარულ გეგმაში მითითებულ თარიღს, ხოლო პედაგოგი ობიექტურად და მიზანმიმართულად უთმობდა დროს ყველა სტუდენტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური პრაქტიკა გავრცელდება **„მღებავისა"** და **„მეზათქაშის"** პროფესიულ საგანამაბათლებლო პროგრამაზეც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი http://gtu.ge/quality/Quality-Ensuring.php;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის ოქმით დამტკიცებული „ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები";
- რექტორის ბრძანება N01-09-10/141 - მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ უკვე არსებულ პროგრამებზე - სამთო-ტექნიკოსი და სამთო-ელექტრომენქანიკოსი;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი (12.05.2019);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა http://gtu.ge/quality/Forms-And-Recomendations/Recomendations.php.

შეფასება:

- ✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: **„მღებავი“** და **„მებათქაშე“**, სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის, 2019 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, იჯარით აქვს აღებული ფართი მისამართზე - ქალაქი ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4 (საკადასტრო კოდი: [redacted] - მდებარე შენობის I, II და III სართულის ნაწილი, საერთო ფართით 1941კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქალაქი ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4	1941კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაცია: [redacted] - 21/12/2018).

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, ვერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„მღებავი“**, შენობის პირველ სართულზე გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო სადაც განთავსებულია 15 ერთადგილიანი მაგიდა და სკამი, პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში განთავსებულია პრინტერი, პროექტორი, დაფა და საკანცელარიო ნივთები. შენობის მეორე სართულზე განთავსებულია **„მებათქაშის“** პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო A ტიპის სასწავლო გარემო, სადაც ასევე განთავსებულია 15 ერთადგილიანი მაგიდა და სკამი, პედაგოგის მაგიდა და სკამი, ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში განთავსებულია პრინტერი, პროექტორი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.
მეორე სართულზეა განთავსებული ასევე ორივე პროგრამისთვის საჭირო B ტიპის სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 15 კომპიუტერი, 15 ერთადგილიანი მაგიდა 15 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი ლეპ-ტოპი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, დაფა და საკანცელარიო ნივთები, ასევე სადემონსტრაციოდ ერთი დაშლილი კომპიუტერი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„მღებავი“**, ნულ სართულზე გამოყოფილია ასევე C ტიპის სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია ამ პროგრამის C გარემოსთვის განკუთვნილი ხელსაწყოები და დანადგარები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„მეგბათქაშე“**, ნულ სართულზე გამოყოფილია C ტიპის სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია ამ პროგრამის C გარემოსთვის განკუთვნილი ხელსაწყოები და დანადგარები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ელექტრო გამათბობლებით. დაწესებულება არის ენერგო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

პრო ჯეორჯიას აბონენტი [redacted] და ყოველთვიურ გადასახადს იხდის ცენტრალური ადმინისტრაციის მეშვეობით.

- დაწესებულება მიერთებულია წყალმომარაგების ქსელზე და უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, წყლის გადასახადს იხდის ფართის მეიჯარე - შპს „საქნახშირი" (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) [redacted]
- დაწესებულებაში არის სველი წერტილები ცალკე ქალებისთვის და ცალკე მამაკაცებისთვის. დაწესებულებაში არსებობს სველი წერტილი, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

- დაწესებულებაში არ არის გაზი შეყვანილი და შესაბამისად არ არის ცენტრალური გათბობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუდიტორიების გასათბობად იყენებენ ელექტრო გამათბობლებს.

- დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
  - ➢ ვიზუალური დათვალიერებით;
  - ➢ ცენტრალური ადმინისტრაციისთვს მიწერილი მოხსენებითი ბარათებით ელ-ენერგიის გადახდასთან დაკავშირებით;
  - ➢ კომუნალური გადასახადის ქვითრით.

- შეფასება:

  ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

  ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (http://gtu.ge/Library/About-Us/Terms.php), რომლის პირველი პუნქტის მიხედვით - „1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ფონდით (ყველა სახის ბეჭდური და ელექტრონული რესურსით) სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ამავე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის: ა) ბაკალავრს;

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
  ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

ზ) მაგისტრებს; გ) დოქტორანტებს; დ) მასწავლებლებს; ე) სრულ პროფესორებს; ვ) ასოცირებულ პროფესორებს; ზ) ასისტენტ პროფესორებს; თ) სტუ-ს ტექნიკურ პერსონალს."

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: ვინაიდან ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში არ ჩანს, რომ სტუ-ის პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ფონდით სარგებლობა, სასურველია ამ წესში მიეთითოს, რომ პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ბიბლიოთეკით სარგებლობა (ისევე, როგორც სტუ-ის ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს, მასწავლებლებს, სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორებსა და ტექნიკურ პერსონალს).

სტუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება (რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის 01 სხდომის 01-06-02/06 დადგენილებით - http://gtu.ge/Library/About-Us/Statement.php).

დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gtu.ge/Library/About-Us/Info.php) განთავსებულია ასევე ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკის სამუშაო საათები (ორშაბათი-პარასკევი 10:00სთ-20:00სთ, შაბათი 10:00სთ-16:00სთ), სტრუქტურა, ციფრული ბიბლიოთეკა.

ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა ბიბლიოთეკის ოთახი, რომელიც განთავსებულია შენობის მე-2 სართულზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო დარბაზით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის ოთახში დგას 1 ცალი კომბაინი (პრინტერი, სკანერი და ასლგადამღები), პროფესიული სტუდენტებისთვის 11 მაგიდა, 11 სკამი და 3 სამაგიდე კომპიუტერი. ბიბლიოთეკარისთვის - ერთი მაგიდა, ერთი სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი.

ბიბლიოთეკარმა მოიძია და გვაჩვენა ყველა ლიტერატურა, რომელიც მითითებულია მოდულებში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ვებ გვერდით: http://gtu.ge/Library/About-Us/Info.php
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოებით.

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა და ვებ-გვერდი. დაწესებულება ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში. ვებ-გვერდი დომენური სახელით http://gtu.ge და ლინკი http://gtu.ge/tsti წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის.

დაწესებულება ტყიბულში არსებულ ფართზე ფლობს 37 ცალ სამაგიდო კომპიუტერს, საიდანაც 10 ცალი გამოიყენება სასაწავლო მიზნებისთვის (A გარემო), 4 ცალი ადმინისტრაციისთვის, 4 ცალი ბიბლიოთეკისთვის და 2 ცალი საწყობისთვის, ხოლო 16 ცალი B გარემოსთვის, სადაც ასევე განთავსებულია 1 ცალი ლეპ-ტოპი, ერთი ცალი პროექტორი და ერთი ცალი პრინტერი. ადმინისტრაციის ოთახსა და ბიბლიოთეკაში განთავსებულია ასევე თითო-თითო პრინტერი, ხოლო A გარემოში განთავსებულია თითო პროექტორი (ორი ოთახი). აღნიშნულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დაწესებულება იყენებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **„მღებავი“** და **„მებათქაშე“** განსახორციელებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვებ-გვერდით: www.gtu.ge და ამ ვებ-გვერდზე არსებული ლინკით: http://gtu.ge/tsti
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (evet.emis.ge).

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს 2018 წლის 16 თებერვლის №29 ბრძანებით. რომლის მიხედვითაც გაწერილია დოკუმენტებისა და საქმისწარმოების წესები. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტი არის სტუ-ის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული, შესაბამისად ეს ინსტიტუტი ხელმძღვანელობს ფაკულტეტის მიერ გამოცემული აქტებით. ინსტიტუტი იყენებს სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის eFlow სისტემას.

ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს აქვს: შემოსული და გასული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალი, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი (მასწავლებლების და სხვა თანამშრომლებისთვის, სტუდენტებისთვის). რეგისტრაციის ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ, ბეჭედდასმული და აკინძულია, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების სანდოობას და მთლიანობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სარეგისტრაციო ჟურნალით;
- სტუ-ს საქმისწარმოების ერთიანი წესით, დამტკიცებული სტუ-ს რექტორის 2018 წლის 16 თებერვლის №29 ბრძანებით.

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებაში ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განლაგებულია ყველა სართულზე და ცეცხლმაქრები ახალი დამუხტულია (შემდგომი დამუხტვა უწევთ 2020 წლის ივნისში). თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ცეცხლმაქრების გამოყენების ინსტრუქცია;

ბ) ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სათანადოდ უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებაში არსებობს ექიმის კაბინეტი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებით, რომელიც ვარგისია გამოყენებისათვის. დაწესებულებას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის პირი (ექიმი) სამედიცინო დახმარების გასაწევად. შექმნილია სამედიცინო მომსახურების რეგისტრაცის ჟურნალი;

დ) დაწესებულებაში უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა დღისა და ღამის განმავლობაში, რომელიც ხორციელდება დარაჯების მიერ. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით), რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის და ქონების დაცვას, ობიექტზე არსებული ვითარების უწყვეტ სადღეღამისო მონიტორინგს, უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების ნორმალური ფუნქციონირების კონტროლს, ობიექტზე პერსონალის დაშვების უზრუნველყოფას დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო ტექნიკით და აღჭურვილობით;
- ევაკუაციის გეგმით;
- წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულებით“.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსში არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. პირველ სართულზე, მთავარ შესასვლელში არის სპეციალურად მოწყობილი პანდუსი. ასევე, პირველ სართულზე ხელმისაწვდომ ადგილზე არსებობს ადაპტირებული სველი წერტილი. კიბეებზე დამაგრებულია გადმოსაშლელი პანდუსები, რომლებიც რამოდენიმე წამში მაგრდება კიბეზე. პანდუსების დახრა და კონსტრუქცია იძლევა მათი უსაფრთხო გამოყენების საშუალებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და დაწესებულების ადმინისტრაცია.

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01" სხდომის 01-06-„02/06" დადგენილებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულების" მე-15 მუხლის 2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის თანამშრომელი ვალდებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს აღმოუჩინოს დახმარება და უზრუნველყოს მათი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან ან/და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეუფერხებლად წვდომა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით;
- წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01" სხდომის 01-06-„02/06" დადგენილებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულების" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი.

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

2.8 ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტისათვის ძირითად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულისას, ასრულებს ვებ-გვერდი www.gtu.edu.ge. ვებ-გვერდიდან შესაძლებელია გადასვლა ტყიბულის სამთო-ტრექნოლოგიური ინსტიტუტის ლინკზე http://gtu.ge/tsti/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ამ ინსტიტუტის შესახებ, მათ შორის ინსტიტუტის დებულება, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამების კატალოგი, ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, ინფორმაციები ბიბლიოთეკის დებულების, სარგებლობის წესისა და წიგნადი ფონდის შესახებ.

- ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ინტერნეტის გადასახადს იხდის ცენტრალური ადმინისტრაცია. არსებობს შესაბამისი ხელშეკრულებები: დაწესებულებას 2019 წლის 31 იანვარს გაფორმებული აქვს №05-03/08-2019 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა", მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგის შესყიდვის შესახებ. ასევე, 2019 წლის 31 იანვარს გაფორმებული აქვს №05-03/08-2019 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სს სილქნეტთან ინტერნეტ-მომსახურეობის გაწევის შესახებ.

- დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
  - ➢ ვიზუალური დათვალიერებით;
  - ➢ ვებ-გვერდით http://gtu.ge/ და ლინკით http://gtu.ge/tsti/;
  - ➢ №05-03/08-2019. 31.01.19 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა";
  - ➢ №05-03/08-2019. 31.01.19 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სს სილქნეტთან ინტერნეტ-მომსახურეობის გაწევის შესახებ.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი, 2018-2024) სტრატეგიული გეგმა, და სამწლიანი (2018-2020) სამოქმედო გეგმა. ასევე, სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთწლიანი (2018-2019) სამოქმედო გეგმა, რომელთა მიზნებიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან.

სტუ-ს სტრატეგიული გეგმა მოიცავს: უნივერსიტეტის ხედვას, მისიას და ღირებულებებს; სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლებს; სიტუაციურ ანალიზს; SWOT ანალიზს; სტუ-ს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და სტრატეგიულ მიზნებს 2018-2024 წწ.; სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს და სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმებს. ასევე, სტუ-ს სამოქმედო გეგმას 2018-2020 წწ.
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, ხორციელდება სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიშების წარდგენა-განხილვა სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე.

სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს შემუშავებული ჰქონდა 2017-2018 წწ. სამოქმედო გეგმა. (დამტკიცებული სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი №13, 10.11.2017) და აქვს 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (დამტკიცებული სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი №1, 11.10.2018).

სტუ-ს ტყიბულის სამთო - ტექნოლოგიური ინსტიტუტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები) ჩართულობით. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) იდენტიფიკაციას და განსაზღვრავს სავარაუდო პერიოდს. სამოქმედო გეგმა მოიცავს: მართვა-ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

კარიერის და პროფორიენტაციის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სტუდენტთა აქტივობების ღონისძიებებს.

სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა შეიცავს ინფორმაციას ორი მოდულური პროგრამის („მღებავი" და „მებათქაშე") დამატების საკითხების მომზადების, ასევე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ 2019 წლის მაისი-ივნისისთვის.

ვინაიდან ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი ახორციელებს მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ ანალოგიური პროფილის უმაღლესი აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმით (2018-2024 წწ) - http://gtu.ge/AboutStu/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.php;
- სტუ-ს ტყიბულის სამთო - ტექნოლოგიური ინსტიტუტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2018 წლის 27 ივლისი, ოქმი № 6; http://gtu.ge/tsti/samoqmedo-gegma2019/
- სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტის 2017-2018 წწ. სამოქმედო გეგმა. (დამტკიცებული სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი №13, 10.11.2017); http://gtu.ge/tsti/samoqmedo-gegma/
- სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (დამტკიცებული სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი №1, 11.10.2018). http://gtu.ge/tsti/angarishi/

შეფასება:

- ✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სტუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობის დაკავების წესი გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" 36 მუხლით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-2 მუხლით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით). ასევე, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დებულებით (დამტკიცებულია სტუ-ს სენატის მიერ, დადგენილება №2, 08.02.2018).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე, ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები (დამტკიცებული სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი №14 28.12.2017 წ., კორექტირებულია ოქმი №3, 30.03.2018), სადაც გაწერილია ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის მოვალეობები (დირექტორი, სასწავლო პროგრამების კურატორი, მატერიალური რესურსების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, სპეციალისტი, დამლაგებელი, დარაჯი, ელექტრიკოსი, ექიმი), **თუმცა არ არის გაწერილი სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის მოვალეობები საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამსახურში მიღების წესი.**

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლების თანამდებობრივ ინსტრუქციებში (დამტკიცებული სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი №14 28.12.2017 წ., კორექტირებულია ოქმი №3, 30.03.2018), მოვალეობებთან ერთად აისახოს ასევე სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამსახურში მიღების წესი.

ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სულ დასაქმებულია 13 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. ინსტიტუტს ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ექიმი და ბიბლიოთეკარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- პერსონალის პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით); http://gtu.ge/Administration/Senate/Internal_regulation.php ;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება; http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php ;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დებულება, სტუ-ს სენატის დადგენილება №2, 08.02.2018; http://gtu.ge/Mining/Faculty/The_faculty_provision.pdf ;
- სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამდებობრივი ინსტრუქციები. დამტკიცებული სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ (ოქმი №14 28.12.2017 წ., კორექტირებულია ოქმი №3, 30.03.2018).

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები.

სტუ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღების წესის თანახმად, პროფესიულის მასწავლებლის სამსახურში აყვანისას ითვალისწინებენ პირის კვალიფიკაციას, სამუშაო გამოცდილებას, კომპეტენციებს და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04-220).

„მღებავის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 7 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ მღებავის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 10 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 10/7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

„მღებავის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 7 მასწავლებლიდან, პროფესიულ მოდულებს ახორციელებს 2 პროფესიულის მასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ მიღებული განათლება არ შეესაბამება განსახორციელებელ პროგრამას, სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მათ აქვთ მღებავის პროგრამაზე თეორიის და პრაქტიკის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება (2011-2018 წწ. ცნობა №20, 27.04.2019). მათ ასევე, აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები. მათი კომპეტენცია დასტურდება მათთან გასაუბრების შედეგადაც.

„მებათქაშის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 8 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **„მებათქაშის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 10 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 10/8.

„მებათქაშის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 8 მასწავლებლიდან, პროფესიულ მოდულებს ახორციელებს 3 პროფესიულის მასწავლებელი.

პროგრამის განმახორციელებელთა პირად საქმეების გადამოწმებისას, არსებული დოკუმენტაციით (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობებს. მათგან ერთ პროფესიულ მასწავლებელს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, აქვს მღებავის პროფესიულ პროგრამაზე მუშაობის გამოცდილება. თუმცა, ადგილზე გადამოწმებისას გაირკვა, რომ პირად საქმეში არსებულ დოკუმენტში არის ტექნიკური შეცდომა და მას აქვს კალატოზის პროფესიულ პროგრამაზე მუშაობის გამოცდილება, რაც ადასტურებს მის სამუშაო გამოცდილებას.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ინტერვიურება პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან. დასტურდება, რომ წარმოდგენილი პერსონალი თავისი კვალიფიკაციით და გამოცდილებით შეესაბამება განსახორციელებელ პროგრამებს.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: დაწესებულებამ უზრუნველყოს იმ პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება - სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით, რომლებსაც არ აქვთ მოდულურ პროფესიულ პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

- პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი. (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის დადგენილება №01-05-04-220). წესი არეგულირებს პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის პირობებს, დოკუმენტი განსაზღვრავს: წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, კონკურსის გამოცხადების წესსა და პირობებს, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის პირობებს და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის წესს. აღნიშნული დებულების დამტკიცებით, დაწესებულებამ შეასრულა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია (გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე).

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი შემუშავებულია 2019 წლის 31 ივლისს, „მღებავის" და „მებათქაშის" პროფესიულ პროგრამებზე მასწავლებლის აყვანა ამ წესის შესაბამისად ვერ მოხდებოდა. თუმცა, აღნიშნულ პროგრამებზე პროფესიული მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა (თავი IV) და საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1937 დადგენილების „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სადაც განთავსებული იყო პროფესიული მასწავლებლების CV; კვალიფიკაციის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

დოკუმენტები, მათ შორის მათ მიერ გავლილი ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტები და პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია პროგრამის დასახელება და ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობები. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებაში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვინაიდან ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი ახორციელებს მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ ანალოგიური პროფილის უმაღლესი აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრემების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების საამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის დადგენილება №01-05-04-220;
- საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1937 დადგენილების „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური (დონე)	მინიჭებული კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის სწავლის დეტალური აღწერის კოდის მითითებით)	პროდუქტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ფარგლებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ოდენობა მოდულური პროგრამის ფარგლებში არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით მისამართების მიხედვით
1	მღებავი	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732	58	73	ქართული	ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4	0	10
2	მებათქაშე	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732	58	73	ქართული	ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №4	0	10

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
დანართი 3. ფოტო-მასალა.

06.08.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ტყიბული, 2019 წელი